პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის საგალი ნაწილის მონიშვნა ნიშნისადები საღებავით, მიწის ვაკისის მოშანდაკება ავტოგრეიდერით, ზზარების ამოვსება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	საანგარიშო პერიოდში შესრულებები არ დაფიქსირდა. მიმდინარეობს დაზიანებული ასფალტის ორმოული შეკეთებები.		
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსავლელი გზის საფარის პროექტის რაოდენობა	19	19	19	0	მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		02 01 02		გზების მშენებლობა რეაბილიტაცია		
ქვეპროგრამის გამახორციელებელი		სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.				

პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის საფარი დღეის მდგომარეობით საგრძნობლად არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს კაპიტალური შეკეთება სოფლის მისასვლელი და შიდა გზების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში და ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით პროექტის რაც ჯამში 3 თვის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 598,1 ათასი ლარი .			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	მოსავლელი გზის საფარის პროექტის რაოდენობა	19	19	19	0
მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.					

1.2. სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის (0202) 2025 წლის 9 თვეში ფაქტიურად დახარჯულია 239817 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2025 წლის 9 თვეში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარები მიიღებენ აღნიშნული პროექტებით განხორციელებულ სარგებელს:

- სოფელ ველისპირში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობაზე-74690 ლარი.ლარი.+
- სოფ.გომარეთში ჭაბურღილის მოწყობაზე-113899 ლარი ლარი.+
- დაწყებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფელ ქვემო კარაბულახში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 2,5% გაჩერებულია.12243 ლარი და წყლის სატუმბო სადგურის შენობაში ბუსტერული ძრავების მოწყობის დამხმარე სამუშაოები-38985 ლარი.+

02 02 01	პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდას და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუღებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად</p>	

	<p>ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა- შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მწყობრიდან გამოსული წყლის მიღების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასენების გაწმენდა- დაჭორვა. <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“-ს სუბსიდიურიდან.</p>
საბოლოო შედეგი	<p>ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.</p>

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა	
02 02 02		პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა.</p> <p>სოფელ ველისპირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-74690.</p> <p>სოფელ ქვ.კარაბულახში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია -12243 ლარი.</p> <p>სოფელ ქვ.კარაბულახში წყლის სატუმბო სადგურის შენობაში ბუსტერული ძრავების მოწყობის დამხმარე სამშაოები -38965 ლარი.</p> <p>სოფელ გომარეთში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები -113899 ლარი.</p> <p>სოფელ გოდაგდაგში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია-9092 ლარი</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 532,9 ათასი ლარი.</p>	
	მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება</p>	

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	4	4	4	0	

1.3 კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

გ) მერიის ადმინისტრაციული შენობის განათების მოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება
02 03		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოვლილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ზომს, 3441-ზე მეტ სანათ წერტილს, 30514 გრმივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, კაპიტალური დაზარალებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-ვატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ზომების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა				0	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)
02 03 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
--	---------------------------------

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4070 სანათი წერტილის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული მდეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა				0	

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	ელექტრო ენერჯის ხარჯი
02.03.02			441,6 ათასი ლარი

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მერია</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატ/საათი ელექტრო ენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
თანხობრივი რაოდენობა (ათას ლარებში)					

გ.გ) კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კაპიტალური დაზანდებები
02.03.03	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</p>
--	---

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანათი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები</p> <p>1.დმანისის სიონის განათების მოწყობა-94435 ლარის.+ 2.სოფელ მთისძირში გარე განათების მოწყობაზე 4687 ლარი,2,5% გაჩერებულია+</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტე ბა
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	2	2	2		

1.4. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციისათვის 2025 წლის 9 თვის განმავლობაში ფაქტიურად შესრულებულია 925070 ლარის ოდენობით,მათ შორის მიმდინარეობს შემდეგი პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობაზე დაფინანსებულია 102738 ლარი.+
- სოფელ განთიადის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია-187 566 ლარი.+
- ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N56 -ში მდებარე და 26 მაისის ქუჩაზე არსებული არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია-204 867 ლარი.+
- ქ.დმანისში N1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია- 52207 ლარი.+
- სოფელ ზემო კარაბულახის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია-157 719 ლარი.+
- ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩა N15 სახურავის რეაბილიტაციაზე- 173 615ლარი.+
- ქ.დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზის ელექტრო გაყვანილობის რეაბილიტაცია 9189 ლარი.+

- სოფელ განთიადის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის 2,5%-1646 ლარი.+
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია 35523 ლარი.+
- ქ.დმანისშიწმინდა ნინოს ქ.N30-ში რიცხული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია -0

დ) ბინათმშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 04		

<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</p>
--	--

პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციას; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან ქალაქ დმანისში არის 23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული სახლების 95%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. სახურავის რეაბილიტაცია ჩატარდა ქალაქ დმანისის 22 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, დარჩენილია მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო სახურავი. სოფლებში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს რეაბილიტაციას.</p>
პროგრამის მიზანი	<p>მრავალბინიანი სახლების მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	9	9	0	

დ.ა) ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია

კოდი 02 04 01	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
---------------------	-------------------------	---

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის შერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</p> <p>მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა</p>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა. რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია, ცენტრალური გათბობის მოწყობა და სხვა.</p> <p>სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობაზე განთიადის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია. სოფ. ირგანაში ადმინისტრაციული შენობის და სარიტუალო დარბაზის მშენებლობა.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბენეფიციართა რაოდენობა	9	9	9	0	

1.5. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია(0205) 2025 წლის 9 თვეში ფაქტიურად ათვისებულია 934300 ლარის სამუშაოები ქვემოთ დაფიქსირებული პროექტებიდან, კერძოდ:

- ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვის და საპირფარეოს მოწყობა-104 514 ლარი.+
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვემო ოროზმანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა,ასევე სივრცისათვის ტრენაჟორების მოწყობა და სოფ.ზემო ოროზმანში გარე სივრცისათვის ტრენაჟორების მოწყობა-257 108 ლარი.+
- სოფელ დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა-226 891 ლარი.+
- სოფელ შინდლარში მინი სტადიონის მოწყობა-115 966 ლარი.+
- სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობა-119 742 ლარი.+
- სოფელ განთიადში ეკლესიის არსებული ტერიტორიის შემოღობვა-11 800 ლარი.+
- სოფელ გომარეთში ორ ლოკაციაზე ღობვის მოწყობა -10655 ლარი.+
- ქ.დმანისში ჭუბერის 3-ე ჩიხშიN4ა სკვერის და სპორტული მოედნის რეაბილიტაციის 2,5% გაჩერებულია 11975 ლარი.+
- ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია 2.5% გაჩერებულია.2875 ლარი.+
- ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩაზე სკვერისა და შადრევნის რეაბილიტაცია 2,5% გაჩერებულია.47794 ლარი.+
- სოფელ ტნუსში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 2.5% გაჩერებულია.2030 ლარი.+
- ლუკუმის მთაზე საპიკნიკე სივრცის მოწყობის 2,5% გაჩერებულია.1404 ლარი.+
- სოფელ დიდი დმანისში გადასახედი ხიდის მოწყობის 2.5% გაჩერებულია.1131 ლარი.+
- სოფელ ქვემო კარაბულახში მინი სტადიონის მოწყობაზე-20415 ლარი+
- სოფელ ბაზაქლოში სკვერის მოწყობაზე 0+

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაცია
02 05		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის აღდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა,მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა,შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	15	15	15		

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია,
ექსპლუატაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მინი სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 18 მინი-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 8 მინი-სტადიონი. ასევე 8 სკვერი (სოფელ მაშავერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ გომარეთის და ქალაქის 3 სკვერი). ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან ხორციელდება 2 სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა -რეაბილიტაციის დასრულება და პოლიციის შენობის მიმდებარედ საპარკინგე სივრცის მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	15	15	15	0	

1.6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

-სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-4 რეაბილიტაცია სოფელში.

-გარე განათების მოწყობის სამუშაოები-5 სოფელში.

-საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები-16სოფელში.

-გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის და მოხრეშვის სამუშაოები სანიაღვრე არხების მოწყობით4 სოფელში

-ფარდულის მოწყობა 5 სოფელში.

აღნიშნულ პროექტებში დაიხარჯა 788 317 ლარი,მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 451 112 ლარი,ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან 337 205 ლარი.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
02.06		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები; მათ შორის: -გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები-5 სოფელში; -სასმელი წყლის სისტემების და წყაროების მოპირკითხვის და რეაბილიტაციის სამუშაოები 4 სოფელში; გზის მოხრეშვისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-გზების მშენებლობა რეაბილიტაცია4 სოფელში; სოფლის სასაფლაოების შემოღობვა,სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია 20 სოფელში და ერთ სოფელში წისქვილისათვის შენობის მშენებლობა .

პროგრამის მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	34	34	34		სამუშაოების შესრულება მიმდინარეობს ეტაპობრივად.

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა
02.07		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
პროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგების ინდიკატორი
	2

					განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა					

დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი დაფინანსებულია 2029,4 ათასი ლარით. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ლონისძიებების დასახელება		2025წლის 9 თვის გეგმა	2025წლის 9 თვის ფაქტი	შესრულ, % გეგმასთან
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2109,3	2029,4	96,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1770,1	1720,3	97,2
030101	ა(ა)იპ დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“	1770,1	1720,3	97,2
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0	0,0	0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	309,2	309,2	100
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	30,0	0	0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
პროგრამის აღწერა	დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე

	<p>ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.</p>
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 01 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქ.დმანისში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ² ქუჩებისა და 24 180მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. 64 თანამშრომელი</p>

ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა
---------------------	---

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა				0	

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
03 02	ა	

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების(რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 საშტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.</p>
პროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგების ინდიკატორი	
--------------------------------	-------------------------------	--

ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	განმარტება
პროექტების რაოდენობა				0	

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში
03 03		

პროგრამის განმახორციელებელი ელემენტური სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა	დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეძენილი ნაგავშიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება.
პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ნაგვის ბუნკერების რაოდენობა				0	

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები
03 04		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის

	<p>(სისხლის, შარდის, ბეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰელმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლეშის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლეშის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკვლევა, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p>
<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა , მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით</p>

4. განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას ,რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	%
04 00	განათლება	2257,5	1930,1	87,9
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1333,0	1269,9	95,3
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1333,0	1269,9	95,3
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	164,7	155,3	94,3
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	149,5	140,4	93,9
04 02 02	პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა	15,2	14,9	98
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	759,8	505,0	66,5
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	759,8	505,0	66,5

04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო მშენებლობა/რეაბილიტაცია	ინფრასტრუქტურის	0	0	0
----------	--	-----------------	---	---	---

04 0101 სკოლამდელი აღზრდის სამსახური დაფინანსებულია 1269,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1333,0 ათასი ლარის 95,3%-ი). -ია.; საგანმანათლებლო ცენტრი დაფინანსებულია 140,4 ათასი ლარის ფარგლებში (გეგმიური მაჩვენებლის 149,5 ათასი ლარის 93,9%-ია) ;ხოლო საჯარო სკოლები დაფინანსებულია 505,0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 759,8 ათასი ლარის 66,5 %-ია) მათ შორის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსებულია 475,8ათასი ლარით.

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა
04 01		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 9 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იადუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დაღარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ზაზაქლო, სოფელი კარაბულაბი, სოფელი განთიადი, სოფელი კოხილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ზოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მამავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ მამავერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის, სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულებულია 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ზოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა
04 01 01		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა				
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ზოსლუბის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერისა სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღზრდელი და 12 თანამშენი, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღზრდელ-მედავოგების გადამზადებას და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდია ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ევექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p>				
დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბენეფიციართა რაოდენობა					

საგანმანათლებლო ცენტრი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა
04 02 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.	
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2022 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელი პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს სწავლობდა 192 მოსწავლე - ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაზაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამალო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.</p>	

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	

ბენეფიციართა რაოდენობა					აღნიშნული ცდომილება გამოწვეულია მოსწავლეები ს განთესვის შედეგად.
------------------------	--	--	--	--	--

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება
04 03		
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
	პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია 797 მოსწავლე. 2022 წელს პროგრამით სარგებლობენ 18 სკოლის მოსწავლეები.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება
04 03 01		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
	ქვეპროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია 797 მოსწავლე. 2022 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ზოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
მოსწავლეთა რაოდენობა				0	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია
04 03 02		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ამენება, რეაბილიტაციას და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება/გამართვას. მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამის ზედამხედველობას უწევს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 27 საჯარო სკოლა, აქედან 17 საშუალო და 10 საბაზო სკოლა. პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე მოეწყო სკოლაში სველი წერტილები(ქალაქ დმანისის N1,განთიადის საჯარო სკოლა, მაშავერას საჯარო სკოლა,დიდი დმანისის საჯარო სკოლა, კამარლოს სკოლა, დაგარაბლოს სკოლა, ოროზმანის სკოლა და სხვა). შეიქცვალა სახურავი სარკინეთის სკოლაში. დამონტაჟდა გათბობის სისტემები და სხვა.საანგარიშო წელს დიდი დმანისის საჯარო სკოლაში განხორციელდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
სკოლების რაოდენობა			0	0	

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 0500)

	პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	2025 წლის 9თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულების % გეგმის
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2695,9	2451,6	90,9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	788,7	699,6	88,7
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	648,0	566,8	87,5
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	140,7	132,9	94,5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1503,0	1367,0	90,6
0502 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	835,4	818,3	98

0502 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	244,4	217,2	88,9
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	201,6	196,4	97,4
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	221,5	135,0	60,9
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	200,0	100
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	10,0	10,0	100
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	150,5	133,7	88,8
05 06	საგამომცემლო საქმიანობა	43,8	41,3	94,3

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება
05 01		
